22 თებერვალს, 14:00 კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა ხაშურის №8 საჯარო სკოლაში გამართა პროექტის „წიგნის მოვლის კულტურა“ პრეზენტაცია, რომელიც ითვალისწინებდა საგანმანათლებლო ღონისძიებების ციკლს სკოლის მოსწავლეთათვის.

პროექტს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონსერვაცია-რესტავრაციის სამეცნიერო ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლები ახორციელებენ. პროგრამის მიზანია, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაცემის საფუძველზე ბავშვებს გამოუმუშავდეთ წიგნის მოვლის უნარ-ჩვევები, აგრეთვე ჩამოუყალიბდეთ და აუმაღლდეთ წიგნთან სწორად მოპყრობის კულტურა.

სკოლის მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ თავისი ხელი აღედგინათ ქაღალდის სტრუქტურა, ასევე წიგნად აეკინძათ რესტავრირებული ფურცლები.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ზაზა აბაშიძემ საშურის სკოლის ბიბლიოთეკას გადასცა: ავალიშვილისეული "ვეფხვისტყაოსანი", წიგნი "ქართული ხელნაწერი",ბუკლეტი "ხელნაწერი".

პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებმა იხილეს ფილმი ხელნაწერების შექმნის შესახებ. თუ რა ეტაპებია საჭირო იმისათვის, რომ ხელნაწერი დამზადდეს. ტყავის

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS
მ.ალექსიძის 1/3
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე
pr@manuscript.ac.ge
598 175 777; 577 977 199
თამარ გურგენიძე
friends@manuscript..ac.ge
599 899 628

დამუშავება, დაჭრა, მინიატურების კონტურების მომზადება, ტექსტის განაწილება და ა.შ.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS
მ.ალექსიძის 1/3
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე
pr@manuscript.ac.ge
598 175 777; 577 977 199
თამარ გურგენიძე
friends@manuscript..ac.ge
599 899 628